ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N93

2016 წლის 29 ივლისი
ქ.ქობულეთი

ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯია"-სათვის საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1.მიეცეს თანხმობა ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯიას" ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი N269-დან 279-მდე ახალ ქსელზე მიერთების მიზნით (შ.პ.ს. ,,ატლანტი"-ს კუთვნილ ობიექტზე ს/კ 20.42.01.124) 0.4 კვ ძაბვის საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის საჭირო მიწისქვეშა სამუშაოების წარმოებაზე, თანდართული სქემატური გეგმის შესაბამისად.

2. ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯიამ" უზრუნველყოს საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობისა და ზედამხედველობის სამსახურებს.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე



პირობითი აღნიშვნები
საპრექტო საკაბელო ეგხ
საკაბელო ეგხ გოფრირებულ მილში

ENERGO-PRO GEORGIA

ქ.ქობულეთი.აღმაშენებლის გამზირი #269-ის მდებარე შპს "ატლანტი"

		სიტუაციური გეგმა	მ.ვ.	1	1
		0.4კვ ძაბვის ეგხ-ს ტრასის გეგმა	სს "ენერგო-პრო ჯორჯია" ქ.ბათუმი ბაგრატიონის ქ. №101 2016 წ.	

0.4კვ ძაბვის საკაბელო თხრილი



პირობითი აღნიშვნები

0.4 კვ ძაბვის ოთხძარღვა კაბელი

მანთქმებელი ლენტი 150 მმ